GIU № 01-01/57

01/10/2024

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს რექტორის
ბრძანება N 01-01/57

ქ.თბილისი **1 ოქტომბერი, 2024**

წ

(აკადემიური პერსონალის ,,ERASMUS+''-ის გაცვლითი პროგრამით მობილობის კონკურსის გამოცხადების შესახებ)

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, უნივერსიტეტში მოქმედი უფლებამოსილების დელეგირების, პასუხისმგებლობის გადანაწილების, ანგარიშვალდებულების წესის მეორე მუხლის მე-4 პუნქტის, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-სა და ბრატისლავას ეკონომიკისა და მენეჯმენტის უნივერიტეტს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის, ,,ERASMUS+''-ის ორმხრივი ინტერინსტიტუციური შეთანხმებისა და უნივერსიტეტის შიდა-სამართლებრივი აქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო და საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალისათვის გამოცხადდეს კონკურსი ბრატისლავას ეკონომიკისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობით გაგზავნის მიზნით;
2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:
I ეტაპი: საკონკურსო დოკუმენტების მიღება და გადარჩევა
II ეტაპი: ტესტირება ან/და გასაუბრება ინგლისურ ენაში
III ეტაპი: საჩვენებელი ლექცია ან/და პრეზენტაცია შერჩეული თემის მიხედვით
3. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე;
- დიპლომების ასლები;
- შესაბამისი ცნობა უნივერსიტეტიდან;
- სამოტივაციო წერილი (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამდასტურებელი დოკუმენტი (ასეთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, ინგლისური ენის ცოდნის დონე შემოწმდება საუნივერსიტეტო შიდა გამოცდით);

- CV (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- 1 ან 2 სარეკომენდაციო წერილი (გაიცემა შესაბამისი სკოლის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის ან/და სხვა ისეთი პირის მიერ, რომელიც იცნობს პირის სამეცნიერო/პედაგოგიურ მოღვაწეობას);
- სხვა უნარებისა და მიღწევების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც კონკრეტული კონკურსის თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს პირის შესარჩევად (კონფერენციებში, ტრენინგებში, მასტერკლასებსა და სხვა კონკრეტულ აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები).

4. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში აკადემიური პერსონალი მიიღებს ყოველდღიურ სტიპენდიას 140 ევროს ოდენობით და ერთჯერად 360 ევროს საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარად;
5. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით;
6. პირველ ეტაპზე მოხდება კანდიდატების საბუთების გადარჩევა, მეორე ეტაპზე გასულ კანდიდატებს ჩაუტარდებათ ტესტირება ან/და გასაუბრება ინგლისურ ენაში;
7. მესამე ეტაპზე გასულად ჩაითვლება კანდიდატი რომლის ინგლისური ენის ცოდნის დონე შეესაბამება არანაკლებ B2-ს;
8. მესამე ეტაპზე გასული კანდიდატები საჩვენებელ ლექციას ან/და შერჩეული თემის მიხედვით პრეზენტაციას წარმოადგენენ კომისიასთან. კომისიის მუშაობა ფორმდება ოქმის სახით;
9. დაევალოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანებით გათვალისწინებული კონკურსის ორგანიზება და კოორდინაცია;
10. დაევალოს უნივერსიტეტის ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანს წინამდებარე ბრძანების გავრცელება;
11. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
ასოცირებული პროფესორი
ელისაშვილი ელისო